პროექტი

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №

2026 წლის ------ ქ. თბილისი

„ცხოველის ან/და მცენარის ახალი ჯიშის განსხვავებულობაზე, ერთგვაროვნებასა და სტაბილურობაზე გამოცდის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 23 დეკემბრის №587 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „ცხოველის ან/და მცენარის ახალი ჯიშის განსხვავებულობაზე, ერთგვაროვნებასა და სტაბილურობაზე გამოცდის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 23 დეკემბრის №587 დადგენილებაში ((www.matsne.gov.ge, 26/12/2022, 410010020.10.003.023798) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული „ცხოველის ან/და მცენარის ახალი ჯიშის განსხვავებულობაზე, ერთგვაროვნებასა და სტაბილურობაზე გამოცდის ჩატარების წესის”:

1. მე-3 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის „გ“ ქვეპუნქტი:

„გ) **არაოფიციალური გამოცდა** – ჯიშის ეროვნულ კატალოგში შეტანის შესახებ გადაწყვეტილების მიღების მიზნით მინიმალური მოთხოვნების შესაბამისად ჩატარებული გამოცდა, რომლის შედეგების სანდოობას, შესაბამისობასა და გადაწყვეტილების მისაღებად საკმარისობას აფასებს შესაბამისი უფლებამოსილი ორგანო.“.

2. დაემატოს მე-10 მუხლი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 10. გამონაკლისები ადგილობრივი (აბორიგენული) ჯიშის და კონსერვაციისთვის განკუთვნილი ჯიშის, აგრეთვე კონკრეტულ პირობებში მოყვანისთვის გამოყვანილი ჯიშის განსხვავებულობის, სტაბილურობისა და ერთგვაროვნების შეფასებისას

1. იმისათვის, რომ საფურაჟე, მარცვლეული, შაქრის ჭარხლისა და საფურაჟე ჭარხლის, სათესლე კარტოფილის, საზეთე და საბოჭკოე კულტურების, აგრეთვე ბოსტნეულისა და ბაღჩეული კულტურების ადგილობრივი (აბორიგენული) ჯიში, რომლებიც ადაპტირებული არიან ადგილობრივ და რეგიონულ გარემო პირობებთან და იმყოფებიან გენეტიკური ეროზიის საფრთხის ქვეშ, აღიარებულ იქნეს კონსერვაციისთვის განკუთვნილ ჯიშად, ის უნდა იყოს მნიშვნელოვანი მცენარეთა გენეტიკური რესურსების კონსერვაციისათვის.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული კონსერვაციისთვის განკუთვნილი ჯიშის და ბოსტნეულისა და ბაღჩეული კულტურების კონკრეტულ პირობებში მოსაყვანად

გამოყვანილი ჯიშების განსხვავებულობის, სტაბილურობისა და ერთგვაროვნების შეფასებისას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნებისაგან დასაშვებია გამონაკლისების დაწესება.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული გამონაკლისების გათვალისწინებით:

ა) განსხვავებულობისა და სტაბილურობის შეფასებისას გამოყენებული უნდა იქნეს სულ მცირე ის მახასიათებლები, რომლებიც მითითებულია:

ა.ა) მცენარეთა ჯიშების თანამეგობრობის ოფისის (CPVO - (Community Plant Variety Office)-ის) არაოფიციალური გამოცდის ჩატარების პროტოკოლებთან დაკავშირებულ ტექნიკურ კითხვარებში და ვრცელდება ამ წესის დანართ №1- ში ჩამოთვლილ სახეობებზე;

ა.ბ) მცენარეთა ახალი ჯიშების დაცვის საერთაშორისო კავშირის (UPOV - (International Union for the Protection of New Varieties of Plants-)-ის არაოფიციალური გამოცდის ჩატარების ინსტრუქციაში მოცემულ ტექნიკურ კითხვარებში და ვრცელდება ამ წესის დანართ №2-ში ჩამოთვლილ სახეობებზე;

ბ) ერთგვაროვნების შეფასება უნდა განხორციელდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად;

გ) თუ პოპულაციის ერთგვაროვნების დონე დგინდება არატიპური მცენარეების (ჯიშობრივი მინარევების) საფუძველზე, არატიპური მცენარეების დასაშვები წილი არ უნდა აღემატებოდეს 10%-ს, ხოლო დაშვების ალბათობა უნდა შეადგენდეს არანაკლებ 90%-ს.

4. იმისათვის, რომ ჯიში აღიარებულ იქნეს კონკრეტულ პირობებში მოყვანისთვის გამოყვანილ ჯიშად, იგი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს:

ა) მას არ უნდა ჰქონდეს არსებითი ღირებულება კომერციული წარმოებისათვის და უნდა იყოს გამოყვანილი კონკრეტულ პირობებში მოსაყვანად;

ბ) იგი უნდა იყოს შექმნილი კონკრეტულ აგროტექნიკურ, კლიმატურ ან პედოლოგიურ პირობებში მოსაყვანად.

5. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული კონკრეტულ პირობებში მოყვანისთვის გამოყვანილი ჯიშის განსხვავებულობის, სტაბილურობისა და ერთგვაროვნების შეფასებისას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნებისაგან დასაშვებია გამონაკლისების დაწესება.

6. ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული გამონაკლისების გამოყენებისას:

ა) განსხვავებულობისა და სტაბილურობის შეფასებისას გამოყენებული უნდა იქნეს ამ მუხლის მე -3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული მახასიათებლები;

ბ) ერთგვაროვნების შეფასებისას გამოყენებული უნდა იქნეს ამ მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული მოთხოვნები;

გ) თუ პოპულაციის ერთგვაროვნების დონე დგინდება არატიპური მცენარეების (ჯიშობრივი მინარევების) საფუძველზე, არატიპური მცენარეების დასაშვები წილი არ უნდა აღემატებოდეს 10%-ს, ხოლო დაშვების ალბათობა უნდა შეადგენდეს არანაკლებ 90%-ს.

3. ამ წესის დანართი №1 და დანართი №2 ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დანართი №1

სახეობების სია რომლებიც შეესაბამება (CPVO)-ს გამოცდის ჩატარების ტექნიკურ პროტოკოლს [1]

1.	საფურაჟე კულტურების გვარები და სახეობები ლათინურად	საფურაჟე კულტურების გვარები და სახეობები ქართულად	CPVO პროტოკოლი
	Dactylis glomerata L.	სათითურა	TP 31/1 of 25.3.2021
	Festuca arundinacea Schreb.	ლერწმისებრი წივანა	TP 39/1 of 1.10.2015
	Festuca filiformis Pourr.	ძაფისებრი წივანა	TP 67/1 of 23.6.2011
	Festuca ovina L.	ცხვრის წივანა	TP 67/1 of 23.6.2011
	Festuca pratensis Huds.	მდელოს წივანა	TP 39/1 of 1.10.2015
	Festuca rubra L.	წითელი წივანა	TP 67/1 of 23.6.2011
	Festuca trachyphylla (Hack.) Hack	უხეშფოთოლა წივანა	TP 67/1 of 23.6.2011
	Lolium multiflorum Lam.	იტალიური კოინდარი	TP 4/2 of 19.3.2019
	Lolium perenne L.	ინგლისური კოინდარი	TP 4/2 of 19.3.2019
	Lolium x hybridum Hausskn	ჰიბრიდული კოინდარი	TP 4/2 of 19.3.2019
	Medicago sativa L.	ჩვეულებრივი იონჯა	TP /6/1 of 22.12.2021
	Medicago x varia T. Martyn	ჩვეულებრივი იონჯა (სინონიმი)	TP /6/1 of 22.12.2021
	Phleum nodosum L.	კვანძოვანი ტიმოთელა	TP 34/1 of 22.12.2021
	Phleum pratense L.	მდელოს თივაქასრა	TP 34/1 of 22.12.2021
	Pisum sativum L. (partim)	ჩვეულებრივი ბარდა	TP 7/2 Rev. 3 Corr of 16.3.2020
	Poa pratensis L.	მდელოს თივაქასრა	TP 33/1 of 15.3.2017
	Trifolium pratense L.	წითელი სამყურა	TP 5/1 Rev. Of 13.2.2025
	Vicia faba L	ცერცვი	TP 8/1 of 19.3.2019
	Vicia sativa L.	ჩვეულებრივი ცერცველა	TP 32/1 of 19.4.2016
	Brassica napus L. Var. Napobrassica (L.) Rchb.	თალგამურა	TP 89/1 of 11.3.2015
	Raphanus sativus L. Var. Oleiformis Pers.	ბოლოკი	TP 178/1 of 15.3.2017
	Brassica napus L. (partim)	თალგამურა	TP 36/4 of 31.3.2025

	Brassica napus L. Var. silvestris (Lam.) Briggs	ველური რაფსი	TP /185/1 of 31.3.2025
	Glycine max (L.) Merr	სოია	TP 80/1 of 15.3.2017
	Gossypium spp.	ბამბა	TP 88/2 of 11.12.2020
	Helianthus annuus L.	მზესუმზირა	TP 81/1 of 31.10.2002
	Linum usitatissimum L.	ჩვეულებრივი სელი	TP 57/2 of 19.3.2014
	Sinapis alba L.	თეთრი მდოგვი	TP 179/1 of 15.3.2017
	Avena nuda L.	შიშველი შვრია	TP 20/3 of 6.3.2020
	Avena sativa L. (მათ შორის A. Byzantina K. Koch)	ჩვეულებრივი შვრია	TP 20/3 of 6.3.2020
	Hordeum vulgare L.	ქერი	TP 19/5 of 19.3.2019
	Oryza sativa L.	ბრინჯი	TP 16/3 of 1.10.2015
	Secale cereale L.	ჭვავი	TP 58/1 Rev of 27.4.2022
	Sorghum bicolor (L.) Moench subsp. Bicolor	სორგო	TP 122/1 of 19.3.2019
	Sorghum bicolor (L.) Moench subsp. Drummondii (Steud.) de Wet ex Davidse	სუდანის ბალახი	TP 122/1 of 19.3.2019
	Sorghum bicolor (L.) Moench subsp. Bicolor x Sorghum bicolor (L.) Moench subsp. Drummondii (Steud.) de Wet ex Davidse	სორგოს და სუდანის ბალახის შეჯვარებით მიღებული ჰიბრიდები	TP 122/1 of 19.3.2019
	xTriticosecale Wittm. Ex A. Camus	გვარი Triticum-ისა და გვარი Secale -ს სახეობების შეჯვარების შედეგად მიღებული ჰიბრიდები	TP 121/3 of 27.4.2022
	Triticum aestivum L. Subsp. Aestivum	ჩვეულებრივი ხორბალი	TP 3/5 of 19.3.2019
	Triticum turgidum L. Subsp. Durum (Desf.) van Slageren	მაგარი ხორბალი	TP 120/3 of 19.3.2014
	Zea mays L. (partim)	სიმინდი	TP 2/3 of 11.3.2010
	Solanum tuberosum L.	კარტოფილი	TP 23/4 of 28.11.2023
2.	**ბოსტნეული და ბაღჩეული კულტურების გვარები და სახეობები ლათინურად**	**ბოსტნეული და ბაღჩეული კულტურების გვარები და სახეობები ქართულად**	**CPVO პროტოკოლი**
	Allium cepa L. (Cepa ჯგუფი)	თავიანი ხახვი და საფოჩე ხახვი	TP 46/2 of 1.4.2009
	Allium cepa L. (Aggregatum ჯგუფი)	მრავალბოლქვიანი ხახვი (შალოტი)	TP 46/2 of 1.4.2009

	Allium fistulosum L.	ჭლაკვი	TP 161/1 of 11.3.2010
	Allium porrum L.	პრასა	TP 85/2 of 1.4.2009
	Allium sativum L.	ნიორი	TP 162/2 of 30.5.2023
	Allium schoenoprasum L.	შნიტი	TP 198/2 of 11.3.2015
	Apium graveolens L.	ნიახური	TP 82/1 of 13.3.2008
	Apium graveolens L.	ძირიანი ნიახური	TP 74/1 of 13.3.2008
	Asparagus officinalis L.	სატაცური	TP 130/2 Rev. of 3.1.2025
	Beta vulgaris L.	ჭარხალი და სუფრის ჭარხალი	TP 60/1 of 1.4.2009
	Beta vulgaris L.	ფოთლოვანი ჭარხალი ანუ მანგოლდი	TP 106/2 of 14.4.2021
	Brassica oleracea L.	ქეილი (ხუჭუჭა კომბოსტო)	TP 90/1 of 16.2.2011
	Brassica oleracea L.	ყვავილოვანი კომბოსტო	TP 45/2 Rev. 3 of 11.4.2024
	Brassica oleracea L.	ბროკოლი	TP 151/2 Rev. 3 Corr of 11.4.2024
	Brassica oleracea L.	ბრიუსელის კომბოსტო	TP 54/2 Rev. 2 of 11.4.2014
	Brassica oleracea L.	კოლრაბი (კეჟერა)	TP 65/2 rev. of 11.4.2024
	Brassica oleracea L.	სავოის კომბოსტო, თეთრთავიანი კომბოსტო და წითელთავიანი კომბოსტო	TP 48/3 Rev. 3 of 11.4.2024
	Brassica rapa L.	ჩინური კომბოსტო	TP 105/1 of 13.3.2008
	Capsicum annuum L.	ცხარე წიწაკა ან ტკბილი წიწაკა	TP 76/3 Rev. 31.3.2025
	Cichorium endivia L.	ხუჭუჭფოთლიანი არდი და სწორფოთლიანი არდი	TP 118/3 of 19.3.2014
	Cichorium intybus L.	სამრეწველო ვარდკაჭაჭა	TP 172/2 Rev. of 28.1.2005
	Cichorium intybus L.	ფართოფოთლიანი ვარდკაჭაჭა	TP 154/2 Rev. of 31.3.2023
	Cichorium intybus L.	ვარდკაჭაჭა	TP 173/2 of 21.3.2018
	Citrullus lanatus (Thunb.) Matsum. Et Nakai	საზამთრო	TP 142/2 Rev. 3 of 29.2.2024
	Cucumis melo L.	ნესვი	TP 104/2 Rev. 3 Corr. Of 31.3.2025
	Cucumis sativus L.	კიტრი და კორნიშონი	TP 61/2 Rev. 3 of 3.1.2015
	Cucurbita maxima Duchesne	გორგა მსხვილნაყოფა	TP 155/1 of 11.3.2015
	Cucurbita pepo L.	ყაბაყი	TP 119/1 Rev. of 2 31.3.2025

	Cynara cardunculus L.	ნამდვილი ხაჭიჭორა (არტიშოკი) და კარდონი (ესპანური ხაჭიჭორა)	TP 184/2 Rev. of 6.3.2020
	Daucus carota L.	სტაფილო სუფრის და საკვები	TP 49/3 Corr. Of 13.3.2008
	Foeniculum vulgare Mill.	დიდი კამა	TP 183/2 of 14.4.2021
	Lactuca sativa L.	სალათა	TP 13/6 Rev. 5 of 3.1.2025
	Solanum lycopersicum L.	პომიდორი	TP 44/4 Rev. 5 of 14.4.2021
	Petroselinum crispum (Mill.) Nyman ex A. W. Hill	ოხრახუში	TP 136/1 Corr. Of 21.3.2007
	Phaseolus coccineus L.	ალის ლობიო	TP 9/1 of 21.3.2007
	Phaseolus vulgaris L.	კუტი ფრანგული ლობიო და მაღალმოზარდი ფრანგული ლობიო	TP 12/4 of 27.2.2013
	Pisum sativum L. (partim)	ნაოჭამარცვლიანი ბარდა, მრგვალმარცვლიანი ბარდა და ტკბილი ბარდა	TP 7/2 Rev. 3 Corr. Of 6.3.2020
	Raphanus sativus L.	ბოლოკი, შავი ბოლოკი	TP 64/2 Rev. Corr. Of 29.2.2024
	Rheum rhabarbarum L	რევანდი	TP 62/1 of 19.4.2016
	Scorzonera hispanica L.	ძირშავა	TP 116/1 of 11.3.2015
	Solanum melongena L.	ბადრიჯანი	TP 117/1 of 13.3.2008
	Spinacia oleracea L.	ისპანახი	TP 55/5 Rev. 4 of 27.4.2022
	Valerianella locusta (L.) Laterr.	მაშა სალათი	TP 75/2 of 29.2.2024
	Vicia faba L. (partim)	ცერცვი	TP 206/1 of 25.3.2004
	Zea mays L. (partim)	ტკბილი სიმინდი და ბატიბუტის სიმინდი	TP 2/3 of 11.3.2010
	Solanum habrochaites S. Knapp & D.M. Spooner*;* *Solanum lycopersicum* L. x *Solanum habrochaites* S. Knapp & D.M. Spooner*;* *Solanum lycopersicum* L. x *Solanum peruvianum* (L.) Mill.*; Solanum lycopersicum* L. x *Solanum cheesmaniae* (L. Ridley) Fosberg*; Solanum pimpinellifolium* L. x	პომიდვრის სადედეები	TP 294/1 Rev. 5 of 29.2.2024

	Solanum habrochaites S. Knapp & D.M. Spooner		
	Cucurbita maxima Duchesne x *Cucurbita moschata* Duchesne	მსხვილნაყოფა გოგრის (*Cucurbita maxima* Duchesne) და ჯავზის გოგრის (*Cucurbita moschata* Duchesne) სახეობათაშორისი ჰიბრიდები, რომლებიც გამოიყენება სადედეებად	TP 311/1 of 15.3.2017
	(1) ამ ტექნიკური პროტოკოლის მოთხოვნების ნახვა შესაძლებელია CPVO-ს ვებ.გვერდზე (www.cpvo.europa.eu)		

დანართი №2

სახეობების სია, რომლებიც შეესაბამება (UPOV)-ს გამოცდის ჩატარების ინსტრუქციას (1)

1.	საფურაჟე კულტურების გვარები და სახეობები ლათინურად	საფურაჟე კულტურების გვარები და სახეობები ქართულად	UPOV ინსტრუქცია
	Beta vulgaris L.	ჭარხალი, მათ შორის ფოთლოვანი ჭარხალი	TG/150/3 of 4.11.1994
	Agrostis canina L.	ძაღლის მანიკრეფია	TG/30/6 of 12.10.1990
	Agrostis gigantea Roth	თეთრი ნამიკრეფია (სინონიმია)	TG/30/6 of 12.10.1990
	Agrostis stolonifera L.	სტოლონებიანი ნამიკრეფია	TG/30/6 of 12.10.1990
	Agrostis capillaris L.	ჩვეულებრივი ნამიკრეფია	TG/30/6 of 12.10.1990
	Bromus catharticus Vahl	შვრიელა გამწმენდი	TG/180/3 of 4.4.2001
	Bromus sitchensis Trin.	სითხენზის შვრიელა	TG/180/3 of 4.4.2001
	xFestulolium Asch. Et Graebn	ჰიბრიდი, რომელიც მიღებულია გვარ Festuca-ს სახეობების შეჯვარებით გვარ Lolium-ის სახეობებთან	TG/243/1 of 9.4.2008

	Lotus corniculatus L.	კურდღლისფრჩხილა	TG 193/1 of 9.4.2008
	Lupinus albus L.	თეთრი ხანჭკოლა	TG/66/4 of 31.3.2004
	Lupinus angustifolius L.	ლურჯი ხანჭკოლა	TG/66/4 of 31.3.2004
	Lupinus luteus L.	ყვითელი ხანჭკოლა	TG/66/4 of 31.3.2004
	Medicago doliata Carmign.	იონჯა დოლიატა	TG/228/1 of 5.4.2006
	Medicago italica (Mill.) Fiori	იტალიური იონჯა	TG/228/1 of 5.4.2006
	Medicago littoralis Rohde ex Loisel	სანაპიროს იონჯა	TG/228/1 of 5.4.2006
	Medicago lupulina L.	სვიისებრი იონჯა	TG/228/1 of 5.4.2006
	Medicago murex Willd.	რბილეკლიანი იონჯა	TG/228/1 of 5.4.2006
	Medicago polymorpha L.	პოლიმორფული (მრავალფეროვანი) იონჯა	TG/228/1 of 5.4.2006
	Medicago rugosa Desr.	დანაოჭებული (ნაოჭიანი) იონჯა	TG/228/1 of 5.4.2006
	Medicago scutellata (L.) Mill.	ფარისებრი იონჯა	TG/228/1 of 5.4.2006
	Medicago truncatula Gaertn	შემოკაფული იონჯა	TG/228/1 of 5.4.2006
	Trifolium repens L.	თეთრი სამყურა	TG/38/7 of 9.4.2003
	Trifolium subterraneum L.	მიწისქვეშა სამყურა	TG/170/3 of 4.4.2001
	Phacelia tanacetifolia Benth.	ფაცელია	TG/319/1 of 5.4.2017
	Arachis hypogaea L.	არაქისი (მიწის თხილი)	TG/93/4 of 9.4.2014
	Brassica juncea (L.) Czern	სარეპსის მდოგვი	TG/335/1 of 17.12.2020
	Brassica rapa L. var. silvestris (Lam.) Briggs	შალგი	TG/185/3 of 17.4.2002
	Carthamus tinctorius L.	ალისარჩული	TG/134/3 of 12.10.1990
2	**ბოსტნეული და ბაღჩეული კულტურების გვარები და სახეობები ლათინურად**	**ბოსტნეული და ბაღჩეული კულტურების გვარები და სახეობები ქართულად**	**UPOV ინსტრუქცია**
	Brassica rapa L.	ტურნეფსი (საკვები თალგამი)	TG/37/11 of 23.9.2022
	(1) ამ ინსტრუქციის მოთხოვნების ნახვა შესაძლებელია UPOV-ს ვებგვერდზე (www.upov.int)		

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს 2027 წლის 30 სექტემბრიდან.

განმარტებითი ბარათი

„ცხოველის ან/და მცენარის ახალი ჯიშის განსხვავებულობაზე, ერთგვაროვნებასა და სტაბილურობაზე გამოცდის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 23 დეკემბრის №587 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტზე

ინფორმაცია პროექტის შესახებ

წარმოდგენილი პროექტი ითვალისწინებს, „ცხოველის ან/და მცენარის ახალი ჯიშის განსხვავებულობაზე, ერთგვაროვნებასა და სტაბილურობაზე გამოცდის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 23 დეკემბრის №587 დადგენილებაში ცვლილების შეტანას.

პროექტის მომზადება განპირობებულია ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების და მისი „ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ“ ნაწილით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებით. კერძოდ, ზემოაღნიშნული შეთანხმების თანახმად, საქართველოს მიერ უნდა განხორციელდეს სანიტარიული და ფიტოსანიტარიული სფეროების მარეგულირებელი კანონმდებლობის დაახლოება ევროკავშირის კანონმდებლობასთან. ამ მიზნით საქართველოს მიერ DCFTA-ს ძალაში შესვლის შემდეგ მომზადდა იმ რეგულაციების და დირექტივების ჩამონათვალი, რომლებთანაც უნდა მოხდეს საქართველოს კანონმდებლობის ეტაპობრივი დაახლოება. შეთანხმების XI-B დანართი, რომელიც შესწორებულია საქართველო-ევროკავშირის სანიტარიული და ფიტოსანიტარიული ქვეკომიტეტის 2023 წლის 6 მარტის №1/2023 გადაწყვეტილებით, შეიცავს ევროკავშირის იმ საკანონმდებლო აქტების ჩამონათვალს, რომლებთანაც უნდა მოხდეს ეროვნული კანონმდებლობის აპროქსიმაცია (SPS საკანონმდებლო ნუსხა) დაახლოების ვადების მითითებით. მათ შორის არის: ევროკომისიის 2008 წლის 20 ივნისის 2008/62/EC დირექტივა, რომელიც ითვალისწინებს საგამონაკლისო წესებს ადგილობრივი (აბორიგენული) ჯიშების, ასევე იმ ჯიშების გასავრცელებლად დაშვებისა და მათი თესლის და სათესლე კარტოფილის ბაზარზე განთავსებისათვის, რომლებიც ადაპტირებული არიან ადგილობრივ და რეგიონულ გარემო პირობებთან და იმყოფებიან განეტიკური ეროზიის

საფრთხის ქვეშ (COMMISSION DIRECTIVE 2008/62/EC of 20 June 2008 providing for certain derogations for acceptance of agricultural landraces and varieties which are naturally adapted to the local and regional conditions and threatened by genetic erosion and for marketing of seed and seed potatoes of those landraces and varieties), კომისიის 2009 წლის 26 ნოემბრის N2009/145 დირექტივა, რომელიც ადგენს გარკვეულ გამონაკლისებს, რათა შესაძლებელი იყოს იმ ბოსტნეულის ლანდრასებისა და ჯიშების მიღება, რომლებიც ტრადიციულად იზრდებოდა კონკრეტულ ადგილებსა და რეგიონებში და გენეტიკური ეროზიის საფრთხის წინაშე დგას, აგრეთვე იმ ბოსტნეულის ჯიშების, რომლებსაც არ გააჩნიათ კომერციული მნიშვნელობა ფართომასშტაბიანი წარმოებისთვის, მაგრამ შექმნილია განსაკუთრებულ პირობებში მოსაყვანად, და ამ ლანდრასებისა და ჯიშების თესლის ბაზარზე განთავსება (COMMISSION DIRECTIVE 2009/145/EC of 26 November 2009 providing for certain derogations, for acceptance of vegetable landraces and varieties which have been traditionally grown in particular localities and regions and are threatened by genetic erosion and of vegetable varieties with no intrinsic value for commercial crop production but developed for growing under particular conditions and for marketing of seed of those landraces and varieties).

პროექტის შესაბამისად მე-3 მუხლს დაემატა „გ“ ქვეპუნქტი და განისაზღვრა, რომ არაოფიციალური გამოცდა არის ჯიშის ეროვნულ კატალოგში შეტანის შესახებ გადაწყვეტილების მიღების მიზნით მინიმალური მოთხოვნების შესაბამისად ჩატარებული გამოცდა, რომლის შედეგების სანდოობას, შესაბამისობასა და გადაწყვეტილების მისაღებად საკმარისობას აფასებს შესაბამისი უფლებამოსილი ორგანო.

ასევე, დაემატა მე-10 მუხლი, რომლის შესაბამისად, დაწესდა გამონაკლისები კონსერვაციისთვის განკუთვნილი ჯიშის განსხვავებულობაზე, სტაბილურობაზე და ერთგვაროვნებაზე.

განსხვავებულობისა და სტაბილურობის შეფასებისას დანართი №1-ში ჩამოთვლილ სახეობებთან მიმართებაში გამოყენებული იქნება მცენარეთა ჯიშების თანამეგობრობის ოფისის (CPVO)-ს გამოცდის ჩატარების ტექნიკურ პროტოკოლში მითითებული მახასიათებლები და დანართი №2-ში ჩამოთვლილ სახეობებთან მიმართებაში გამოყენებული იქნება მცენარეთა ახალი ჯიშების დაცვის საერთაშორისო კავშირის (UPOV)-ს გამოცდის ჩატარების ინსტრუქცია.

ერთგვაროვნების შეფასება მოხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნათა შესაბამისად და თუ პოპულაციის ერთგვაროვნების დონე დადგინდება ჯიშობრივი მინარევების საფუძველზე, არატიპიური ჯიშობრივი მინარევების წილი არ უნდა აღემატებოდეს 10%-ს, ხოლო დაშვების ალბათობა არანაკლებ 90%-ს.

ასევე დადგინდა გამონაკლისები „კონკრეტულ პირობებში მოყვანისთვის გამოყვანილი ჯიშებისათვის“ და თუ პოპულაციის ერთგვაროვნების დონე დადგინდება ჯიშობრივი მინარევების საფუძველზე, არატიპიური ჯიშობრივი მინარევების წილი არ უნდა აღემატებოდეს 10%-ს, ხოლო დაშვების ალბათობა არანაკლებ 90%-ს.

პროექტის თანახმად, მოხდა დანართი №1-ის და დანართი №2-ის დინამიური დაახლოვება კომისიის 2025 წლის 2 ივნისის დამწერგავი დირექტივა (EU) 2025/1079-თან, რომლითაც ცვლილება შედის 2003/90/EC და 2003/91/EC დირექტივებში, რომელიც ეხება სასოფლო-სამეურნეო კულტურების სახეობების ჯიშების და ბოსტნეულისა და ბაღჩეული კულტურების ზოგიერთი სახეობის ჯიშების გამოცდის პროტოკოლებს (COMMISSION IMPLEMENTING DIRECTIVE (EU) 2025/1079 of 2 June 2025 amending Directives 2003/90/EC and 2003/91/EC as regards the protocols for the examination of certain varieties of agricultural plant species and vegetable species.

ინფორმაცია ევროკავშირის სამართლებრივი აქტის შესახებ

პროექტი მომზადებულია ევროკომისიის 2008 წლის 20 ივნისის 2008/62/EC და 2009 წლის 26 ნოემბრის N2009/145 დირექტივების შესაბამისად.

ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე სამართლებრივი აქტის ზეგავლენის შეფასება

პროექტი არ ახდენს ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე ზეგავლენას.

ქალისა და მამაკაცის თანასწორობის მდგომარეობაზე მოსალოდნელი ზეგავლენის შეფასება

პროექტი არ ახდენს ქალისა და მამაკაცის თანასწორობის მდგომარეობაზე ზეგავლენას.

პროექტის მიღებით გამოწვეული საფინანსო-ეკონომიკური შედეგების გაანგარიშება

პროექტის მიღება გავლენას არ მოახდენს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე და არ წარმოშობს სახელმწიფოს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

პროექტის მოსალოდნელი შედეგები

პროექტის მიღების შედეგად, პროექტის მიღების შედეგად, უზრუნველყოფილი იქნება, გამოცდის საერთაშორისო ნორმებითა და წესებით გათვალისწინებული პირობების დაცვით ჩატარება.

პროექტის განხორციელების ვადები

პროექტი ამოქმედდება 2027 წლის 30 სექტემბერიდან.

ამასთან, ზემოაღნიშნული XI-B დანართის მიზნებისთვის, მითითებული ვადები უკავშირდება კანონმდებლობის დამტკიცებას (დაახლოვება), ხოლო მისი ამოქმედების (იმპლემენტაციის) საკითხი დამოკიდებულია ქვეყნის და კერძო სექტორის მზად ყოფნაზე. თავად შეთანხმების XI-A დანართი ახდენს აღნიშნული ტერმინების (დაახლოვება/იმპლემენტაცია) გამიჯვნას ერთმანეთისგან. კერძოდ, აღნიშნული დანართის მიხედვით, ქართულმა მხარემ უნდა უზრუნველყოს დაახლოებული ეროვნული კანონმდებლობის ეფექტიანი იმპლემენტაცია. თუ ჩვენ ჩავთვლით, რომ დაახლოვება გულისხმობს კანონმდებლობის იმპლემენტაციასაც და ის ვადები, რომლებიც მოცემულია XI-B დანართში უკავშირდება კანონმდებლობის იმპლემენტაციას, გაურკვეველია ამავე

შეთანხმების ზემოაღნიშნული ქვეპუნქტის სამართლებრივი დატვირთვა (დაახლოვებული კანონმდებლობის იმპლემენტაცია).

გარდა ამისა, გასათვალისწინებელია ისიც, რომ ასოცირების შეთანხმების საფუძველზე შექმნილი სანიტარიული და ფიტოსანიტარიული SPS ქვეკომიტეტის შეხვედრებზე, რომლის ფარგლებშიც საქართველო ახდენს ევროკომისიისთვის ანგარიშის წარდგენას კანონმდებლობის დაახლოებასთან დაკავშირებით, ყოველთვის ვაწვდით ინფორმაციას იმის თაობაზე თუ როდის მოხდება დაახლოვებული კანონმდებლობის ამოქმედება. უნდა აღინიშნოს, რომ ევროკომისია ადასტურებდა საქართველოს მიერ ვალდებულებების შესრულებას. გარდა ამისა, კანონმდებლობის დაახლოვება SPS სფეროში იყო ერთ-ერთი საფუძველი საბიუჯეტო დახმარებისთვის, დღემდე ამ კომპონენტის შეუსრულებლობის გამო რაიმე შეფერხება არ ყოფილა.

დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ თავად ევროკავშირის მიერ შესაბამისი სამართლებრივი აქტების დამტკიცების შემდეგ ხდება გარდამავალი პერიოდის დაწესება, რათა კერძო სექტორმა და სახელმწიფო სტრუქტურებმა მოასწრონ მომზადება ახალი მოთხოვნების შესრულებისთვის.

პროექტის ავტორი და წარმდგენი

პროექტის ავტორი და წარმდგენია საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო.